სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/322

ქ. თბილისი

28 ოქტომბერი 2019

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ
პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 28 ოქტომბრის №01-05-02/22 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) მიერ ინიცირებული უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უნივერსიტეტის შემადგენლობაში ახალი სტრუქტურული ერთეულის – სამეთვალყურეო საბჭოს შემოღებას და მასთან დაკავშირებით შესაბამის რეგულაციებს, გარდა ამისა, განსაზღვრავს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებელ პირს და ასევე, ითვალისწინებს სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის მარეგულირებელი ნორმების ცვლილებას;
2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს (სენატი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**